დამტკიცებულია სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს
2023 წლის ----28 ივნისის----სხდომის N-27 ოქმით

სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, კარიერული მხარდაჭერის სერვისი და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ახორციელებს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და ამ მიზნით შესაბამისი რეგულაციები ძირითადად გაწერილია აკადემიის წესდებაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსში და ასევე, სხვა შესაბამის აქტებში.

2. აკადემიასა და სტუდენტს შორის სამართლებრივი და სხვა სახის ურთიერთობების საკითხები რეგულირდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელიც იდება სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით და განსაზღვრავს მხარეების ძირითად უფლება-მოვალეობებს, მათ შორის, სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობას.

3. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პირობები და ამ მხრივ, სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო საშეღავათო დანაწესები ყოველწლიურად განისაზღვრება აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

4. სტუდენტის სტატუსთან და ზოგადად სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, მიღებული შეფასების სტუდენტის მიერ გასაჩივრების საკითხები რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ხოლო აკადემიაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ასევე განისაზღვრება ამ მიზნით მიღებული მარეგულირებელი წესის მიხედვით.

5. აკადემია მხარს უჭერს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და ამ მიზნით, აკადემიის შესაბამისი ფაკულტეტები და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტის განცხადებასა ან/და საჩივრებზე სწრაფ და მოქნილ რეაგირებას.

6. სტუდენტი უფლებამოსილია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიაროს აკადემიის შესაბამის სამსახურებში ან/და ფაკულტეტზე.

7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებითა და დაცვის მექანიზმებით, რაც, მათ შორის, ასევე გათვალისწინებულია აკადემიის ეთიკის კოდექსშიც.

8. სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები ზოგადად გათვალისწინებულია აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო უფრო ჩაშლილი და დეტალიზებული სახით კი, აკადემიის სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამასა და აკადემიის სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესში.

9. აკადემია ზრუნავს შშმ და სსმ სტუდენტთათვის სწავლის პირობების, ადაპტირებული სასწავლო პროგრამისა და გარემოს შექმნაზე.

10. აკადემია მხარს უჭერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სტუდენტებს, განათლების მიღებაში და ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის უშვებს სწავლის საფასურის გადანაწილებით გადახდის შესაძლებლობას, რომ სწავლის წლიური საფასური გადაუნაწილდეს და მიეცეს წელიწადში ოთხ თანაბარ წილად გადახდის შესაძლებლობა.

11. მე-10 პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი (ოთხ თანაბარ წილად გადახდის შესაძლებლობა) გამოიყენება სხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი სტუდენტებისა და ზოგადად ყველა სტუდენტის მიმართ, რისთვისაც გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო,

12. შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების თანახმად, შესაძლებლობის ფარგლებსა და ასეთი საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში, აკადემია ახდენს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდადებული სტუდენტის სწავლის საკითხის რეგულირებას და ამ მხრივ, აკადემია უფლებამოსილია შეიმუშაოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული სტუდენტისთვის ადაპტირებული პროგრამა.

13. აკადემიის სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა უფასო სწავლებას აკადემიის საბაკალავრო საფეხურისა და შემოქმედებითი მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე და ამ მხრივ, აწესებს შესაბამის კვოტებს (ფაკულტეტების მიხედვით), პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის პირობებსა და კრიტერიუმებს, ასევე, ითვალისწინებს სტუდენტთა პროგრამაში ჩართვის/ჩანაცვლების შესაძლებლობას.

14. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ სტუდენტებთან და სხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (მაგ.: შშმ და სსმ პირები, მაღალმთიან რეგიონებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა საომარ კონფლიქტებში მონაწილეები/დაღუპულთა შვილები და სხვ.) წარმომადგენელ სტუდენტებთან მიმართებით, სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში ან მის გარეთ დამატებითი ადგილების გამოყოფით, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ყოველწლიურად შესაძლებელია მიღებულ იქნეს ცალკე გადაწყვეტილება, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით შერჩევის კრიტერიუმები (იგივე, როგორც იმავე პროგრამით არის დადგენილი ან განსხვავებული სახით) განისაზღვრება და შუამდგომლობა წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

15. აკადემიის სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესი არეგულირებს სტიპენდიის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მხრივ განსაზღვრავს სტიპენდიატთა შერჩევის პირობებსა და კრიტერიუმებს, სტიპენდიის ოდენობას, ხოლო სტიპენდიის მიღების უფლების მიღების უფლებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა სტუდენტმა, მათ შორის, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელმა სტუდენტებმაც.

16. აკადემია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და თავად აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უწყობს ხელს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სერვისის დანერგვას/განვითარებას და ამ მხრივ, შესაძლებელია განხორციელდეს საჭირო კონსულტაცია/კომუნიკაცია შესაბამის ორგანიზაციებთან/კომპანიებთან.

17. აკადემია ხელს უწყობს სტუდენტთა სტაჟირების/პრაქტიკის განხორციელებას (მათ შორის, შემდგომში შესაძლო დასაქმების პერსპექტივით) სხვადასხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და კომპანიებში, მათთან გაფორმებული მემორანდუმების/ხელშეკრულებების ან/და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარგლებში.

18. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტთა წვდომას ინტერნეტზე, ბიბლიოთეკასა და აკადემიის განკარგვაში არსებულ სხვა შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, ასევე, აკადემიის ექიმის მომსახურებას.

19. შესაძლებლობის ფარგლებში, აკადემია მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტებს, შესაბამისი ინიციატივების, შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც მათთვის შესაძლოა გახდეს კარიერული დაგეგმვის ერთ-ერთი წინაპირობა.

20. სწავლის პარალელურად, აკადემია ზრუნავს სტუდენტების მონაწილეობაზე სხვადასხვა სახის ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში.